# სახალხო გაზეთი

№ 1143 ოთხშაბათი, 19 მარტი 1914 წ. № 1143

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“**
(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ. ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ. газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

**„სახალ. გაზეთის“ კანტორა**
მოაგონებს წლიურ ხელის მომწერთ, რომ მეორე ვადა ფულის შემოტანისა 1 აპრილამდეა.

**მიიღება ხელის მოწერა არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-5-ე ტომზე.**

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 23 მარტამდის ტფილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. გორში სანდრო გძელიშვილთან და ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, შიათურაში შავი ქვის მრეწველთა კანცელარიაში გიორგი ნანეიშვილთან და ბათუმში ტრ. ინასარიძესთან.

წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ. ფასი ხელის მოწერით 80 კაპ.

თელავში ახლად გაიხსნა თელავში
**საკანდიტრო**
**გრიგოლ საგოლის ძე გურგენოვისა,**
ეგრ. ეკლესიასთან. პირველ აპრილიდან გაიყიდება საუკეთესო პასქა, გირჩანქა ხუთი შაურად. იყიდება აგრეთვე ჩაი, ყავა და შინაური რძე. 197

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის ხიდის ახლოს.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი გ. გ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი ზ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარქოზოვი გ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ჩირაძოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერზიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>ფედოროვი ე. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი გ. ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
**სამკურნალო**
საწოლი ოთახებით
**მიხეილ გელეკანიშვილისა**
ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., სადამოთი 6—8 საათ. ვერა, ჟორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1064

ტელეფ.- **ქართული თეატრი** ნი № 795.
ხუთშაბათს, 20 მარტს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ნ. ჩხეიძისა და გ. აბაშიძის მონაწილეობით წარმ. იქნება კარეევის ცნობილი პიესა:
**უბედური ნაბიჯი,**
დრ. 3 მოქმედებად, თარგ. შ. დადიანისა.
II) **ადვოკატთან,** ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყ. სწორედ სად. 8 საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
1078 რეჟისორი მ. ქორელი. ადმ. ქარ. დრ. საზ.

ტელეფ. **ხარფუხის სახალხო აუდიტორია** № 11-79
(კლუბის შენობაში)
ხუთშაბათს, 20 მარტს, ხარფუხის სახ. წარმოდგ. მმართველ წრის მიერ
**წრის რეჟისორის**
**ს. გ. პეპანოვის საბენეფისოდ**
წარმოდგენილი იქნება
**დღენი ჩვენი ცხოვრებისა.**
დრამ. 4 მოქ. ლ. ანდრეევისა.
მონაწილეობს წრის მთელი დასი. ✦ დასაწყისი სად. 8 საათ
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში სად. 5—9 ს.
196 მორიგე წევრი გ. შათირიშვილი. რეჟისორი ს. პეპანოვი.

**მებაღეობისა და მეფუტკრეობის კურსები**
(თეორეტიული და პრაქტიკული),
კავკასიის სააზრეშუმო სადგურთან, მომავალ აპრილის 15-დან გაიხსნება და ივნისის 1-დე გასტანს. კურსები უფასოა. მსურველთ კურსებზე ჩაწერა შეუძლიანთ სააბრეშუმო სადგურის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 11—12 საათამდე. ცნობების მისაღებად შეიძლება მიჰმართონ სააბრეშუმო სადგურს პირადად და წერილობითაც. 1122

**გორის პირველი კერძო სამკურნალო**
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088




**გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული**
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

**ფასი 1 მანეთი.**

**ვაგზლის სამკურნალოში**
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი $11$—$11^1/_2$ საათამდე.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით $11$—$11^1/_2$ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
**გაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სადამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვა.
რჩევის საფასური—50 კაპ.
**წამლობა „914“.** 1023

**ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში**
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

**საბურთალოზე**
მშვენიერ ადგილას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იდენს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
**ბ. გ. მეგრაბიანცი**
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, სწავლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებებით. სპეციფიური ბლექისათვის შეფერხებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოთორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელექტრულ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და სადამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1087

**ექიმი ს. ს. ჯავახიშვილი**
ორდინატორად ხარკოვის კლინიკებში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩუბინაშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ნაძალადევში
**ექიმი** ხუდადოვის ქ., 4. ი. რ. სურგულაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., სადამოთი $4^1/_2$—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი
სწავლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადღოგანყოფ. პირდაპირ. 1080

ქ. გორში (დოქტორანტი).
**ექიმი** გ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1050

**ექიმი** გ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი** გ. ნ. მაგალაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და სადამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

**ექიმი** ნინო ღამბაშიძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

**ექიმი** პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. სადამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022


## ქართული პრესა

„აზრი“ დამშვიდებულია. მისი წარმოდგენით, საქართველოს ტერიტორიას არსაიდან არავითარი საფრთხე არ მოელის.

„საქართველოს წინააღმდეგ თოფ-ზარბაზნით არავინ ილაშქრებს,—სწერს „აზრი“,—რომ არც ჯ—შვილებმა ფარ-ხმალი და მუზარადი შეისხან და „გარეშე მტერნი“ გაალამტვერონ.

შეგვიძლიან მოვახსენოთ „აზრს“, რომ „თოფ-ზარბაზნის“ გრიალს თუ უცადა, მთელი მიწა-წყალი ისე გამოეცლება ფეხიდან, ვერაფერს გაიგებს: ეხლანდელ დროში ქვეყნების დაპყრობა მარტო თოფ-ზარბაზნით არა ჰხდება.“

* *

ჯგუფობრივ დიფერენციაციას ჯერ-ჯერობით ის რეალური ნაყოფი მოჰყვა, რომ ჟურნალმა „კლდემ“ და გაზეთმა „აზრმა“ ერთმანეთს კომპლიმენტი უთხრეს. ჟურნალი „კლდე“ სწერს:

„უეჭველია, დასელებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს არა მარტო დემოკრატიის იდეოლოგიის შექმნაში, არამედ ბურჟუაზიის გათვითცნობიერებაშიც“.

მაგრამ დასელებს მარტო ეს ერთი ღირსება არა ჰქონიათ.

„მომავალი ისტორია ჩვენის ქვეყნისა ოდესმე იტყვის, — განაგრძობს „კლდე“,—რომ ასეთ ქადაგებაში პროგრესისა და ალტრუიზმის იდეის გარდა, დიდი პატრიოტიზმიც იყო. რადგანაც რა არის თუ არა პატრიოტიზმი ღარიბისა და უწყლო ერს ჩაჰბეროს სული უკეთესის იმედისა“.

ამ მოულოდნელ კომპლიმენტს „აზრი“, რასაკვირველია, უპასუხოდ ვერ დასტოვებდა.

„უკვე აფერი გვიჩვენებს,—სწერს „აზრი“,—რომ ბურჟუაზიული პარტიის დაარსება ახლო მომავლის საქმეა. ეს მოასწავებს ნაციონალიზმის გაძლიერებას. ძლიერია ის პარტია, რომელიც ეკონომიურად მნიშვნელოვან კლასს ეყრდნობა. ასეთია მუშათა კლასი და ბურჟუაზია... ქართველთა ცხოვრებაში მართლაც მნიშვნელოვანი ხანა იწყება“.

მნიშვნელოვანი იყო „კლდე“—„იმერეთი“-ს აზრით დასელთა გამოსვლა ჩვენს ცხოვრებაში და ასეთსავე მნიშვნელოვან საქმედ გამოაცხადა „აზრმა“ „კლდე“—„იმერეთის“ დაბადება. არც ჩვენ მიგვაჩნია უმნიშვნელოდ ამ საზოგადოებრივი ჯგუფების გაჩენა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის „კომპლიმენტები“, რომლებითაც ბურჟუაზიის და პროლეტარიატის იდეოლოგები ერთმანეთს უმასპინძლდებიან. ასე ერთდებიან ხოლმე უკიდურესობანი იმის წინააღმდეგ, ვინც ვერ შეჰრიგებია ვერც დასელთა ეროვნულ ნიჰილიზმს და თავის თავის უარყოფას, ვერც ახლად მოვლენილ ჯგუფთა უთავბოლო პატრიოტულ ფრაზეოლოგიას, რომელშიაც დაფარულია ხან პოლიტიკური ლაქიობა, ხან თავ-დაუჭერელი აგრესიული ნაციონალიზმი.

* *

„კლდე“ უკანასკნელ ნომერში აცხადებს, ბურჟუების ინტერესების დამცველი ვართ, ბურჟუაზიული პარტია უნდა დავაარსოთო. მისი თანამოაზრე „იმერეთი“ კი სწერს:

## სამანუფაქტურო მაღაზია
## ძმ. ჯავახოვები და ამხ.

**შუა-ბაზარში მანთაშევის მამულში №№ 71, 72, 73.**

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლად მიღებული გვაქვს ყოველ გვარი მანუფაქტურა: მაუდეულობა, შალეულობა, აბრეშუმეულობა, ტილოები და ბამბის ქსოვილები მოსკოვსა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა. ვაჭრობა პარტიობით და წვრილ-წვრილად ხელმისაწვდომ ფასებში.

**შაბათობით ისყიდება ნაჭრებიც 50% დაკლებით:** 1070


„კლდე“ და „იმერეთი“ კერძოდ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი კი არ არიან, არამედ ისინი არიან, ფხიზელი და შეგნებული დამცველი სრულიად ქართველი ერის ჭეშმარიტი ინტერესებისა. და რადგანაც ქართველი ერი შესდგება სხვადასხვა კლასებიდან და წოდებიდან, რომელთაც ბევრი და მეტად ბევრი საერთო აქვთ ეროვნულ ფარგალში, მაგ., ენა, ტერიტორია, სულიერი და ნივთიერი კულტურა და სხ. ამიტომ „კლდე“ და „იმერეთი“ ერთგულად ემსახურება ქართველი ერის დიდ უმეტესობას, მუშას და საერთოდ მშრომელ ხალხს.

არ ვიცით: რომელი დავიჯეროთ? „კლდეს“ ვერწმუნოთ თუ „იმერეთს“?

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრების გამო ბევრი რამ დაიწერა. ამ კრების თაობაზე საგულისხმო წერილია დაბეჭდილი ჟურნ. „სოვრემ. მირ“-ის თებერვლის ნომერში ქ-ნ ე. კუსკოვისა, იგი, სხვათა შორის, სწერს:

„რუსეთში ყველაფერი გადაიხლართა, ბევრი წინანდელი პროფესიის ადამიანი პოლიტიკოსად გახდა, ზოგი პოლიტიკოსი პროფესიის კაცად... ამას გარდა რეაქციის დროს რუსეთში შეუმჩნევლად გაიზარდა მანამდე უჩინარი წმინდა წყლის პოლიტიკური საკითხი — ეროვნული. გამარუსებელმა ველურმა ნაციონალიზმმა, არარუს მოქალაქეთა დევნამ, დევნილთა შორის კულტურული საკითხები დაჰბადა“...

ქ-ნი კუსკოვისა ასწერს, რომ რუსეთში მოსახლე არარუსთა შორის როგორის თანდათანობით ჩაისახა და გაღვივდა ეროვნული საკითხი და შემდეგ განაგრძობს:

„რუს მასწავლებლებს სძულთ ანსპექცია, ურიადნიკი, თავად-აზნაურთა ერობა,—არა რუსთ კი სძულთ რუსი მასწავლებელი, რომელიც რუსულით უტენავს თავს მათს ბავშვებს, სძულთ რუსეთის მთავრობა, რომელიც მათ ხელს უშლის თვითარსებობის განმტკიცებაში...

„რაც უფრო გაafთრებით მიაქვს იერიში რუსეთის ზოოლოგიურ ნაციონალიზმს ქვეშევრდომ ერებზე, მით უფრო თავ-გამოდებით ესარჩლებიან ისინი თავის ეროვნებას... წყალს მიაქვს რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობა და ფეხს იდგამს გაერთიანება, შეკავშირება კერძო ეროვნებათა“.

„ერთ ქართველ მასწავლებელს გაველაპარაკე: „თქვენც ხომ სეპარატისტი ხართ!—თქვენც ჩვენებურ ნაციონალისტებივით მზად იქნებით ყველაფერი გაჰსრისოთ, რაც კი ქართული არ არის. იქნებ რუსეთიდან განცალკევებაზედაც არა სთქვათ უარი?—ქართველმა ხელები გაასავსავა, აღელდა. არა, არა, ისინი რუსეთიდან განცალკევებაზე არა ოცნებობენ. იმათ რუსეთი უყვართ კიდეც და უიმისოდ თავისი სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენიათ.

„„ჩვენ ეროვნებას ვერ გაჰსრესავენ ვერა—ცხარობდა იგი—ჩვენს ერს მთიური ძალა მოსდევს, მხურვალე სისხლი სჩქეფს მის ძარღვებში.. ყოველგვარის მსხვერპლით განვამტკიცებთ ჩვენს უფლებას.. შეიგნეთ, რომ ჩვენი გასრესა შეუძლებელია!“—მიპასუხა მან. ასეთივე კამათი იყო უკრაინელებთანაც“..

ქ-ნი კუსკოვისა განაგრძობს:

„თუმცა ამ დარბაზებში ირკვეოდა ცალკ-ცალკე ეროვნებათა კულტურული თვით-გამორკვევა,... მაგრამ ყველა ეროვნებანი შედუღებულიყვნენ ერთის გრძნობით.. და ეს გრძნობა იყო უღრმესი მძულვარება ძალმომრეობისა და უღრმესი ერთგულება თავისუფ ლებისა“...

მაგრამ ვინ უნდა დააკმაყოფილოს ამ ეროვნებათა მისწრაფენი, ჩვენც იმავე ტაფაში ვიწვითო, ამბობს ქ-ნი კუსკოვისა..

„ამ დევნილ ერებისავით ჩვენც (ველიკოროსებსაც) გვაკლია თავისუფალი ჰაერი, თვითგამორკვევის თავისუფლება.. ამისათვის უცხო კულტურის მუხრუჭში მოქცეულ ეროვნებათადმი ჩვენი თანაგრძნობა პლატონიური როდია... მათი რევოლუციები ჩვენი რევოლუციებიცაა.. მათი ხვედრი, ჩვენი ხვედრიცაა“-ო.

* *

ახალი პრემიერის მოწვევამ ახალი აზრები გაუღვიძა ზოგიერთს გაზეთს, იმედი დაებადათ, ამბობდნენ, ასე თუ ისე მთავრობის პოლიტიკას ცოტაოდენი განახლება დაეტყობაო. იქნება თუ არა განახლება, ამის ნიშნები ჯერ არა სჩანს, მაგრამ ერთი დიდმნიშვნელოვანი რამ კი გამოჩნდა ამ დღეებში: მინისტრების საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, სათათბიროს ნება არა აქვს შეკითხვაზე პასუხი მოსთხოვოს პრემიერ-მინისტრსო. ამ ამბის შესახებ გაზეთი „რუს. ვედ.“ სწერს:

„გორემიკინის აზრი ძალზე ახირებულია. ეს საკითხი სულ სხვანაირად დიდიხანია გადაწყვეტილია თეორიისა და პრაქტიკის მიერ და აქ რაიმე ეჭვის შეტანა მეტისმეტად დაგვიანებულია. სათათბიროს არა ერთხელ მიმართა შეკითხვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და არავითარი ფორმალური საბუთი არავის წამოუყენებია ამის წინააღმდეგ.

მართალია, დასავლეთის გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ შეკითხვის დროს, სტოლიპინი აღიარა სამართლიანობა შეკითხვისა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, ხოლო უარყო საფუძვლიანობა შეკითხვისა თვითონ საბჭოსადმი, მაგრამ ასეთი შეხედულობა დაჰგმო სახელმწიფო სათათბირომ და საბჭომაც. თვითონ სტოლიპინმაც უკუაგდო მერე ეს, შეხედულობა და სრული განმარტება წარუდგინა ორივე პალატას მათი შეკითხვის გამო..

კანონში ერთი სიტყვაც არ არის იმის შესახებ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არ ექვემდებარება სენატს და ამიტომ არც ვალდებულია პასუხი გასცეს საკანონმდებლო დაწესებულების შეკითხვასო.

მაგრამ შეიძლება ამას მოითხოვს „ახალი კურსი“?

* *

იმავე გაზეთის მეთაური ყურადღებას აქცევს დღევანდელი რუსეთის საჭიროებას:

„ქვეყნის გაერთიანება—უპირველესი და უსაჭიროესი საქმეა დღევანდელი დღის, და ამის განხორციელება უმთავრესად უნდა იკისროს სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციამ. სათათბიროს შემწეობით ეს მას ყველაზე მეტად შეუძლიან, მაგრამ ამისათვის საჭიროა მარტო ძირითადი ლოზუნგების გამოცხადება კი არა, არამედ უპირველესად კონკრეტული რეფორმათა პლატფორმების წამოყენება და დაინტერესება ფართო მასსის, ხალხის პრაქტიკულის საქმეებით. ამ გზით შეიძლება ყველა უკმაყოფილო ძალის შეერთება და დამსხვრევა ჯასალებისა...

მაგრამ საკითხია: შესწევს ეხლანდელს ოპოზიციას ამის ძალ-ღონე? აქვს ამის უნარი?

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქარიშხალისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დედოფალ ალექსანდრას** თავმჯდომარეობით შესდგა სრულიად რუსეთის კომიტეტი. ქარიშხლისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად. კავკასიაში ამ კომიტეტის განყოფილებას თავმჯდომარეობს მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვისა. ამ განყოფილების ხელის შემწყობად მიწვეულნი იქნებიან: საქართველოს ეგზარხოსი არქი-ეპისკოპოსი ალექსი, სომეხთა ეპისკოპოსი მესროპი, შეიხ-ულ-ისლამი. მუფთია, ა. ნ. მიშლაევსკი, მეფის მოადგილის სამხედრო ნაწილის თანაშემწის მეუღლე, მეფის მოადგილის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის მეუღლე, კნ. მ. მ. თუმანიშვილისა, ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორის მეუღლე კნ. დ. რ. ჭავჭავაძისა, გენ.-მაიორის ქვრივი ზ. ა. კლიუევისა, კავკ. 1-ლი არმიის კორპუსის კამანდირის მეუღლე ქ-ნი მ. მ. მელიქოვისა, ქალაქის მოურავის მეუღლე კ. ფ. ხატისოვისა, თავად-აზნ. წინამძღ. თ-დი კ. ხ. აფხაზი, ქალაქის მოურავის თანაშემწე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ვაჭართა მამასახლისი ა. ნ. მილოვი, ს. ს. არუტუნოვი, ი. შ. დოლუხანოვი, გ. დ. ჟურული, მ. ო. არამიანცი, ტფ. თ.-აზნ. მაზრის წინამძღოლი თ-დი მ. ა. სუმბათაშვილი, დეკან. გოროდცოვი, ლ. ს. სტალინსკი, იბრაჰიმ-ბეგ ფაშა-ბეგ-ოღლი ვექილოვი, პოლკოვნიკი რ. ი. მაიერი, პასტორი ბ. ე. რამელნიკი, ინფანტერიის გენერალი გ. ნ. ყაზბეგი, სინოდ. კანტორის პროკურორი ძ. გ. პოპოვი. მოწოდებანი დაეგზავნა ტფილისში არსებულ გაზეთების შემდეგ რედაქციებს: „კავკაზს“, „ტიფლ. ლისტოკს“, „გოლოს კავკაზას“, „მშაკს“, „სახალხო გაზეთს“, „ორიზონს“ და „თეძს“.

თვითონ ადგილობრივ კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: კნ. დ. რ. ჭავჭავაძისა (თავმჯდომარის თანაშემწედ) და წევრებად: არქიეპისკოპოსი ალექსი, ეპისკოპოსი მესროპი, ა. ნ. მილოვი, ს. ს. არუტინოვი, გ. დ. ჟურული, ლ. ს. სტალინსკი და ა. ნ. მიშლაევსკისა, გენერ. შტაბის მდივანი კაპიტანი გ. ი. კლერჟე.

✦ **ფუნიკულერზე.** ამ ჟამად ფუნიკულერს გამოცოცხლება ეტყობა. ფუნიკულერი მუშაობს დილის 10 საათიდან საღამოს შვიდ საათამდე. ხალხი იქ საკმაოდ მრავლად დაიარება, განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში. ფუნიკულერზე ამ ჟამად აკეთებენ ხის როტონდას პროჟექტორისათვის. იქვე ზაფხულში დროგამოშვებით წარმოდგენებიც გაიმართება. რამდენსამე ადგილას, კარგა მოზრდილ მანძილზე, „გაშენებულია ყვავილნარები, რომლის მოსარწყავადაც საჭირო წყალი ფუნიკულერზე არ მოიპოვება და წყლის გამოყვანა კი მომავალში არ არის განზრახული. ამის გამო ყვავილების მოსარწყავად იქ აკეთებენ ერთს აუზს, სიგანით ხუთ ნახევარ არშინს, სიგრძით 12 არშინს და სიღრმით ოთხ არშინ ნახევარს. ამ აუზში მოაგროვებენ წვიმის წყალს, რომელიც ვარაუდით ყვავილების მოსარწყავად ერთის თვის განმავლობაში საკმარისი იქნება. ფუნიკულერზე მიწების მესაკუთრენი სახლების აშენებას ჯერ-ჯერობით ერიდებიან, რადგანაც ქალაქიდან ფუნიკულერის ქვედა სადგურამდე მისასვლელ გზას არა ეშველა რა.

✦ **შუამდგომლობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აზრად აქვს, შეასწავლოს საბაღოსნო სკოლის მოსწავლეებს ტეხნიკა ხილის გახმობისა და კონსერვების მომზადებისა; ამის გამო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების დეპარტამენტის წინაშე, რათა 1.599 მ. გაიღოს საბაღოსნო სასწავლებელთან სასწავლო სახელოსნოს დასაარსებლად და შესაფერ კურსების მოსაწყობად.

✦ **ახალი ბაზარი.** სასულიერო სემინარიის ძველი შენობა იჯარით აიღო ინჟინერმა ვინოგრადოვმა და შენობის ეზოში ბაზარს მართავს.

✦ **საბაღოსნო სკოლის მოსწავლენი** პრაქტიკულ მუშაობისთვის ს. სკრაში (გორის მაზრა) დღეს მიემგზავრებიან მასწავლებლის ნესტორ კალანდაძის მეთაურობით. მოსწავლენი სკრაში აღდგომამდე დარჩებიან.

✦ **სპ. კედიას დატუსაღება.** პეტერბურგში დაუპატიმრებიათ პარიზის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული სპირიდონ კედია, რომელსაც ზუგდიდის რესპუბლიკის მეთაურობასა და სხვა პოლიტიკურ საქმეს აბრალებენ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** გუშინ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ქალაქის მდივნად ა. ი. სტავროვსკი იქმნა არჩეული.

✦ **შეკითხვა.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, [illegible] მომავალ კრებაზე [illegible] ჯგუფი შეკითხვას შეიტანს ქალაქის გამგეობის საიჯარო სტოლის რე... ზ.ის შედეგის გამოქვეყნების დაგვი... ანების გამო.

✦ **ახალი ჟურნალი.** გუბერნა... ტორმა ნება დართო არჩილ ფარესი... შვილს, გამოსცეს ტფილისში ყოვე... კვირეული სალიტერატურო და ... იუმორისტო ჟურნალი, სახელა... „კავკასიონის კოდო“.

✦ 20 და 21 მარტს კუკიის ავა... რაკში ჯარის-კაცთა სავარჯიშ... სროლა მოხდება.

✦ **ტრამვაის დირექციამ** ქალაქ... გამგეობას უფასო ბილეთები გა... ვზავნა ქალაქის საბჭოს სატრამვაი... კომისიის წევრთათვის. რადგანა... ქალაქის საბჭომ აღიარა, რომ უხერ... ხულია სატრამვაიო კომისიამ ტრამ... ვაის დირექციისგან მიცემულ უფა... სო ბილეთებით ისარგებლოს, ამ... გამო გუშინ გამგეობამ ბილეთებ... უკანვე გაუგზავნა დირექციას.

✦ **გუბერნატორმა ნება** დართ... სახალხო სახლში ქართულ წარმო... დგენების მმართველ წრის თავჯდო... მარეს კნეინა ა. ა. მაჩაბლისას, გამარ... თოს მუშტაიდში წრის ნივთიერ... ღონისძიებათა გასაძლიერებლად ს... ირნობა 5, 6 და 7 მარტს; თუ ცუდ... ამინდი იქნება, მაშინ 12, 13 და 1... მარტს და ტფ. საქალებო პროგიმნ... ზიის მშობელთა წრის თავჯდო... მარეს, გამართოს 28 მარტს სახალ... სახლში წარმოდგენა.

✦ თუქურმიშის (სიღნაღის მაზრა... მცხოვრებნი გუბერნატორის წინაშ... შუამდგომლობენ, რათა ნება დარ... თოს მათ დაარსონ ამ სოფელშ... **შემნახველ-გამსესხებელი ამხანა... გობა.**

### საზოგადოებანი და კრებები

✦ შაბათს, 22 მარტს, **საზოგად... კლუბის დარბაზში** გაიმართება საუ... ბარი კავკასიაში ერობის შემოღებ... საკითხზე. შესავალ სიტყვას წარმოს... თქვამს თ-დი გ. მ. თუმანოვი.

### ქუთაისი

✦ პეტერბურგში წასული თ-დ... მ. ფაღავა და გ. ქილაძე ატყობინ... ბენ საადგილ-მამულო ბანკის გამგეო... ბას, რომ ბანკის მიერ აღძრული შუა... მდგომლობანი წესდების შეცვლის... და სხვა საქმეების გამო შეჩერებულ... იყო. ახლა მათის მეცადინეობით ფი... ნანსთა სამინისტროში დაჰპირებია... ამ შუამდგომლობათა განხილვას და... შეწყნარებას.

✦ ქუთაისის ქალაქის თვითმმარ... თველობის შუამდგომლობით ქუთაი... სის საგუბერნიო კომიტეტს მომა... ლი სამი წლის საერობო ხარჯთ... აღრიცხვაში უნდა შეეტანა 30 ათას... მანეთი ქალაქის საავადმყოფოს ცა... სახმარებლად. ახლა როგორც გაგი... გეთ, ეს განზრახვა საგუბერნიო კო... მიტეტისა რაღაც გაუგებრობი... ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეუტანია...

# სომეხ-ქართველთა ურთიერთობა
(იშხანიანის წიგნის გამო).

ახლახან გამოვიდა რუსულ ენაზე ბ. იშხანიანის წიგნი, სახელად „ეკონომიური და საზოგადოებრივი საფუძვლები სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა“. ეს წიგნაკია ის მოხსენება (ეხლა ცოტათი გაფართოვებული), რომელიც ავტორმა წაიკითხა სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებაში ამა წლის 5 თებერვალს. გაზეთებში დაბეჭდილი იყო მაშინ მოკლე შინაარსი მოხსენებისა, ჩვენც შევეხეთ გაკვრით და ავტორი დავახასიათეთ როგორც სომხის კაპიტალისტების ანუ უკედ სქელ-ჯიბა სოლოლაკელების იდეოლოგი. ამ ჟამად შეგვიძლია უფრო ვრცლად და ახლო გავიცნოთ ბ. იშხანიანი.

„ეკონომიურის და საზოგადოებრივი საფუძვლების“ დამწერი ცდილობს რეალური სარჩული გამოუძებნოს სომეხ-ქართველთა უთანხმოებას და განმარტოს იგი, ასე ვთქვათ, მეცნიერულად, ობიექტიურად. მისის აზრით, სომეხ-ქართველთა უთანხმოების საკითხი დღეს არ აღძრულა და შემთხვევითი მოვლენაც არაა, არამედ დიდი ხანია [illegible]ებობს და გამოწვეულია ღრმა ეკონომიურის და სოციალურის მიზეზებით. თუ გვინდა გავიგოთ სინამდვილე, ამ მიზეზებს უნდა ჩავუკვირდეთ, უნდა გავსინჯოთ, რა თვისებისაა ერთის მხრით ქართველთა საზოგადოებრივი წყობილება და მეორეს მხრით სომხებისა.

ავტორი სწერს, რომ ქართველს ხალხს ახასიათებს საშუალო საუკუნოების საზოგადოებრივი აგებულობა. „მთელ დედამიწაზე ქართველები წარმოადგენენ ერთად-ერთს გამონაკლისს, რომლებსაც დღემდის დაცული აქვთ ძველი ფეოდალიზმის ნაშთები. ვერც აზიასა და ვერც ევროპაში ვერ ნახავთ სხვა ხალხს, რომელშიაც მემკვიდრეობითი თ.-აზნაურობა შეადგენდეს 5,26 პროც. მცხოვრებთა საერთო რიცხვისას“. თვითონ კავკასიაში თათრებში სათ.-აზნაურო წოდება შეადგენს მცხოვრებლების 2,61 პროც., რუსებში 0.91 პროც. და სომხებში 0,83 პროც. სულ კავკასიაში 1897 წ: აღწერილობით 170967 თავადი და აზნაური იყო, აქედან ქართველი 70.972, თათარი 46,996, რუსი 28,789 და სომეხი 9318.

ახლა ავიღოთ სხვა წოდებათა შედგენილობა.

| | ქართველნი: | | სომეხნი: | |
|---|---|---|---|---|
| მოქალაქე . . | 2749 | 0,20% | 6468 | 0,54% |
| ვაჭარი . . . | 2283 | 0,17% | 6001 | 0,53% |
| მეშჩანი . . . | 47768 | 3,54% | 123,213 | 11,02% |
| გლეხი . . . | 1.180,276 | 87,40% | 878,186 | 78,54% |

ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში მთელი კავკასიის წოდებათა რიცხვს, თითოეულ წოდებაში:

| | მოქალაქეთა წოდებაში: | ვაჭართა წოდებაში: | მეშჩანთა წოდებაში: | გლეხთა წოდებაში: |
|---|---|---|---|---|
| **ქართველნი** . | 14% | 12,35% | 6,34% | 17% |
| **სომეხნი** . . | 32,43% | 32,34% | 16,35% | 12,70% |

ასეთია სომეხ-ქართველთა წოდებრივი დანაწილება. ახლა შევადაროთ მათი საპროფესიო შედგენილება:

| | ქართველებში: | სომხებში: |
|---|---|---|
| სასოფლ.-სამეურ. კლასი . . . | 82,47% | 71,27% |
| სამრეწველო . | 8,25% | 19,06% |
| სავაჭრო . . . | 6,43% | 19,30% |

აქედან ავტორი დაასკვნის შემდეგს: „საზოგადოებრივი და პროფესიონალური შედგენილობა სომეხ-ქართველთა კონკრეტიულის ფაქტებით გვიჩვენებს, რომ სომეხთა და ქართველთა სოციალური სტრუქტურა (აგებულობა) სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგო ტიპს წარმოადგენს. ერთგან (ქართველებში) გაბატონებულია ფეოდალიზმის ნაშთები, რომლებიც აძლევენ საზოგადოებრივ—ეროვნულ ცხოვრების საქმეებს მიმართულებას და ტონს და სწყვეტენ გონებრივ-კულტურულ საკითხებს; მეორე ალაგას (სომხებში) ამ გვარსავე გაბატონებულს როლს თამაშობენ ახლად შემდგარი მოქალაქობრივი ელემენტები (ქალაქის ბურჟუაზია), აგრე წოდებული „მესამე წოდება“, რომელიც შეკავშირებულია ეროვნულ სამღვდელოების წარმომადგენლებთან“. ადვილად გასაგებია საწარმოვო ფორმების და სამეურნეო წესების განსხვავებაც სომხის ბურჟუაზიისა და ქართველთა თ.-აზნაურობისა. პირველი წარმომადგენელია წარმოების ახალის საშუალებისა, გაუმჯობესებულ ტეხნიკისა, იგია მატარებელი ქალაქურ-კაპიტალისტური კულტურისა და ფულსა და საქონელზე დამკვიდრებულ მეურნეობისა; მეორე კი არის წარმომადგენელი წარმოების ძველის ფორმებისა, პირველყოფილ პატრიარქალურ ტეხნიკისა და ნატურალურ მეურნეობისა.

ასეთი განსხვავებაა სომხისა და ქართველ გაბატონებულ კლასებში. ამიტომ ყოველი უთანხმოება სომეხ-ქართველთა საზოგადოებრივ, საქალაქო, სახელმწიფო, საგანათლებო თუ სხვა საქმის შესახებ წარმოსდგება იმ ტეხნიკური მეთოდების წინააღმდეგობისაგან, რომლებითაც სარგებლობენ სომხის კაპიტალისტები და ქართველი მემამულეები.

ამ გვარად ბ. იშხანიანი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ქართველისა და სომხის ერების დიდს უმრავლესობას—გლეხობას და ქართველ თავად-აზნაურთა და სომხის ვაჭარმრეწველთა დაპირდაპირებით უნდა დაახასიათოს ამ ორის ცხოვრების განსხვავება და უთანხმოება. გლეხობის შესახებ იგი პირდაპირ ამბობს, რომ „პასიური მასსაა, რომელსაც არავითარი აქტიური და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეებშიო“.

შევჩერდეთ დროებით ზემოდ დასახელებულ ცნობებზე და ვნახოთ, რამდენად გამოხატავენ სინამდვილეს. როგორც ვიცით, ციფრები თავისთავად არაფერს ამბობენ; საქმე მათი ჭეშმარიტი განმარტებაა.

ყველაზე უწინარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება ცნობას თ.-აზნაურთა რიცხვის შესახებ. ბ. იშხანიანი ამბობს, რომ ქართველებში თ.-აზნაურთა წოდება შეადგენს 5,26% და ეს მთელს დედამიწაზე ერთად ერთი შემთხვევა არისო, მაგრამ მას არ მიუღია მხედველობაში ერთი დიდი გარემოება, რომელიც სანახევროდ, თუ მეტად არა, მნიშვნელობას უკარგავს ზემოხსენებულს ციფრს. საქმე ისაა, რომ დღეს წოდებრივობას იმდენადა აქვს ძალა და გავლენა, რამდენად საფუძვლად უდევს ქონებრივი გავლენა, რამდენად სახელს შეეფერება სახრავიც. თ.-აზნაურობას, როგორც უშინაარსო წოდებას, უსახსროდ არავითარი როლი არ შეუძლია ითამაშოს თანამედროვე ცხოვრებაში. ამ მხრივ თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი თავ.-აზნაურობის ქონებრივს მდგომარეობას, შემდეგ სურათს დავინახავთ: ტფილ. გუბ. თ.-აზნაურობას ეკუთვნის 5884 მამული, აქედან წვრილი (0—25 დეს.) მამულია 53,55% და ამ წვრილ მამულს უკავია მხოლოდ 2,29% თ.-აზნაურობის მთელის მიწისმფლობელობისა, კერძოდ 0—1 დეს. მამული შეადგენს 10,81%, 1—3 დ. 9,82%, 3—5 დეს. 7,63%, 5—10 დეს. 10,59%, 10—15 დეს. 6,25% და 15—25 დეს. 8,45% ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 12857 მამულია და წვრილი მამული შეადგენს 89,78%, რომელსაც უკავია მთელი თ.-აზნაურობის მიწის მფლობელობის 14,33%, კერძოდ 0—1 დ. 5,82%, 1—3 დეს. 23,59%, 3—5 დეს. 20,30%, 5—10 დეს. 24,61%, 10—15 დეს. 8,22%, და 15—25 დეს. 7,24%*) მაშასადამე ცხადია, რომ საქართველოს თ.-აზნაურთა დიდი უმრავლესობა, თითქმის 3/4, წვრილი მესაკუთრეა და მისი ქონებრივი მდგომარეობა სრულებით არ აძლევს საშუალებას დაიცვას თავისი წოდებრივი უპირატესობა და რაიმე რეალური გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ტფ. გუბერ. წვრილი მამულების ბანკებშია დაგირავებული 7,33% და კერძო პირებთან 47,39% და რომ ამგვარივე ამბავია ქუთაის. გუბერნიაშიც, მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ იშხანიანის ციფრები თ.-აზნაურობის სიძლიერისა და გავლენის შესახებ სრული ფიქცია არის და არ გამოხატავს სინამდვილეს. ჩვენებური მ... დალი წოდების დიდი უმეტესობა წვრილი მესაკუთრეა და როგორც ვხედავთ, ის დიდად უახლოვდება წვრილი მესაკუთრე გლეხობას, ... კარგა ხანია დაჰკარგა, განსაკუთრე... ბით ქუთ. გუბერნიაში, წოდებრივ... როლი.

რომ ეს ასეა, ნათლად მოწმობ... ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრე... გავსინჯოთ რამდენიმე ფაქტი. ჩ... ში ყველაზე მეტი გასავალი დე... კრატიულს გაზეთებს აქვს, ჩ... წიგნის მკითხველი უმთავრესად დე... მოკრატიული მასსაა, ჩვენს თეატრ... უპირველესად მხოლოდ მდაბ... ხალხი დადის; ჩვენის საზოგადოებ... თა კრებებზე მარტო დემოკრატ... აზრი იმარჯვებს. სათათბიროს ... არჩევნებზე თავ.-აზნაურობას არა... თუ, არ გაუყვანია თავისი კანდიდა... ტი. არც წამოუყენებია. თ.-აზნა... რობას დიდი შემოსავალი აქვს ბა... კებისაგან, მაგრამ შემოსავლის ... წილს ხარჯავს საზოგადო უწოდ... რივო დაწესებულებებზე, რაიც იმი... მაჩვენებელია, რომ თ.-აზნაურო... კი არ იმორჩილებს საზოგადოებრ... აზრს, არამედ ერის დემოკრატიულ... ნაწილის საზოგადოებრივი ... თვით იმორჩილებს თ.-აზნაურობ... ერთის სიტყვით საითაც უნდა ... ვიხედოთ, ყველგან აშკარა საბ... ვხედავთ იმისას, რომ ჩვენში ... გაბატონებული, მხოლოდ დემოკრ... ტიული, მასსიური ფსიხოლოგია.

შემდეგ იშხანიანის ციფრებ... სომხებში სავაჭრო - სამრეწვე... კლასი შეადგენს 32,36%, სასოფლ... სამეურნეო—71,27% (?), ქართვე... ლებში კი 14,68% და 88,47%...

*) სტატ. ცნობ. ფ. გოგიჩაიშვილის 1910, წ.

და ამის გამო ქალაქს საერობო ხარჯთ-აღრიცხვიდან დახმარება არ მიეცემა, რაც, ეჭვს გარეშეა, ქალაქს გაუძნელებს სავადმყოფოს შენახვას.

◆ კავკასიაში მეფის მოადგილის საბჭოს ქუთაისის თვითმმართველობისა და ბ-ნი ნ. ნიკოლაძის შორის შეკრული პირობის პროექტი წყალსადენისა, განათებისა, კანალიზაციისა, ტრამვაის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის შესახებ არ დაუმტკიცებია.

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ უკვე გამოიწერა სეტყვის საწინააღმდეგო მორტირი (ზარბაზანი), რომ მისი გასროლით აცნობონ ხოლმე სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო. საბჭოს ეცნობა, რომ მორტირს იგი ამ დღეებში მიიღებს ქიათურაში.

## სიღნაღი

◆ **ს. გოლთბში** მოსე უტურაშვილმა და გიორგი ჭუჭულაშვილმა მძიმედ დასჭრეს სიკო კოტაშვილი.

◆ **ზემო-მაჩხაანში** საწამლავით თავი მოიკლა თავის ქმრის თვალწინ ბარბარე ბოსტაშვილმა, 26 წლისამ. მიზეზი ნივთიერი ხელმოკლეობა იყო.

## კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი

1913 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ქუთაისში თავი მოიყარეს ვაჭრებმა და გამართეს წინასწარი თათბირი კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დასაარსებლად; შემდეგ ასეთივე თათბირი ტფილისშიაც მოხდა. ამ კრებებზე საბოლოოდ გამოირკვა და განმტკიცდა აზრი, რომ ბანკის დაარსება აუცილებლად საჭიროა. სხვადასხვა კუთხეებში დაგზავნილმა დელეგატებმა ცნობები შეჰკრიფეს ამ საქმის თაობაზე. გამოირკვა, რომ უკვე წინასწარ ხელი მოაწერა 2,100,000 მ. აქციის მსურველმა.

შაბათს, 15 მარტს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდა წინასწარი კერძო თათბირი სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ დელეგატებისა. საოცარი იმედიანობა სუფევდა დელეგატების შორის. ყველა აღფრთოვანებით ეგებებოდა ბანკის დაარსებას. თათბირზე გადასწყდა, რომ ბანკს დაერქვას „კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“.

მეორე დღეს, 16 მარტს, „ახალი კლუბის“ დარბაზში გაიმართა პირველი ოფიციალური კრება მომავალი ბანკის აქციონერებისა. კრება ფრიად მრავალრიცხოვანი იყო. თავმჯდომარეობდა ტფ. გუბერნიის წინამძღოლი თავ. კ. აფხაზი. კრებას დაესწრნენ ტფილისის ვაჭართა წარმომადგენელნი, აგრეთვე ვაჭრები და მრეწველნი, მსხვილი კაპიტალისტები ბაქოდან, ქუთაისიდან, ბათომიდან, სოხუმიდან, კავკავიდან, ფოთიდან, გორიდან, თელავიდან, სიღნაღიდან, ერევნიდან, ყარსიდან და სხვა.

კრებაზე წაკითხულ იქნა მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა საკუთარი ბანკის დაარსება ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად, აგრეთვე წაიკითხეს ანგარიში წინასწარი მუშაობისა.

მოხსენებიდან სჩანს, რომ წინასწარ ძირითადი თანხად 2 მილიონი მან. ჰქონიათ ნავარაუდევი, მაგრამ წინასწარ გამართულმა ხელის მოწერით მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში 1 თებერვლიდან 1 მარტამდე 2,300,000 მ. ზევით ავიდა. თითო აქციის ღირებულება—250 მანეთია. ყოველდღე მოსდით თხოვნები აქციების შეძენის მსურველთა. ამიტომ უეჭველად საჭიროა ძირითადი თანხის გადიდება. კრების უმრავლესობის სურვილისამებრ ბანკს სახელად დაერქვა „კავკასიონის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“.

ბანკი დაარსდება ტფილისში. ბაქოელებმა ერთხმად მოითხოვეს, რომ ამავე დროს ბანკის განყოფილება ბაქოში დაარსდეს. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, ამ ბანკის განყოფილება თავიდანვე გაიხსნას ბაქოში.

კრებამ განიხილა წესდების ძირითადი მუხლები და საბოლოოვო რედაქციისათვის საორგანიზაციო კომიტეტს გადასცა. ბანკის უმთავრეს დამფუძნებლად ითვლებიან: 1) ი. მანსვეტაშვილი, 2) ა. მუხთაროვი 3) მ. ჯაყელი, 4) ლევ. თუმანიშვილი, 5) ს. ფორაქიშვილი, 6) ა. ძეგველოვი, 7) ნ. სესიაშვილი, 8) ი. კვეზერელი-კოპაძე, 9) ი. სვანიშვილი, 10) სამ. წერეთელი, 11) ლ. მამულაიშვილი, 12) ა. ხოშტარია, 13) ა. ბოსტაგანოვი, 14) ნ. ბარაბაძე, 15) შ. იაკობაშვილი, 16) რ. რიჟინაშვილი, 17) პ. გოკიელი, 18) ა. ქავთარაძე, 19) ა. საბაშვილი. დამფუძნებელი წევრობა სთხოვეს ძმ. ზუბალაშვილებს და სხ.

აქციებზე ოფიციალური ხელის მოწერა სახელმწიფო ხაზინაში 10 პროც. შეტანით, დაიწყება 21-დან 30 აპრილამდე. შესაფერ ორდერებს მისცემენ:

**ტფილისში** სასოფლო სამეურნეო ბანკის სადგომში, **ბაქოში**—ნავთის მრეწველის ჯაყელის კანტორაში, **ქუთაისში, ბათომში, ფოთში, სოხუმში, ხონში, სამტრედიაში, გორში, სიღნაღში და კავკავში**—საურთიერთო ნდობის საზოგადოების კანცელარიაში.

კრებამ ამოირჩია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც პირველი კრება იმავე დღეს გამართა.

## ტფ. ქალაქის საბჭო

**17 მარტის კრება.**

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით.

**თავმჯდომარე** საჭიროდ სთვლის, აცნობოს ხმოსნებს, რომ ქალაქის გამგეობამ, თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, 15 მარტს ნოტარიუს სტრახოვის საშუალებით ტრამვაის პასუხისმგებელ დირექტორს უკვე განუცხადა წერილობითი სურვილი 1915 წლის 15 მარტისთვის ტრამვაის მთელის წარმოების გამოსყიდვისა.

**ხმ. უტიშევი.** აღნიშნავს, რომ სადამოენო ქუჩა შეკრულია იმ ადგილას, რომელიც სოსინს ეკუთვნის და მცხოვრებნი უხერხულ მდგომარეობას განიცდიან.

**თავმჯდომარე** შეკრული ადგილი სოსინს ეკუთვნის და არა ჩვენს. ამას გარდა თვით საბჭომ დართო მას ნება ქუჩის შეკვრისა.

საბჭო იღებს მხედველობაში, რომ ქუჩის გახსნა აუცილებლად საჭიროა და ავალებს გამგეობას, მოელაპარაკოს სოსინს მიწის მიყიდვის შესახებ და საერთოდ მიიღოს ღონისძიებანი ამ ქუჩის ჩქარა აღსადგენად.

წარსულ კრებაზე **ს. გ. ალდამანოვი** შეეკითხა გამგეობას, რა მდგომარეობაშია საყოველთაო სწავლის შემოღების საკითხი.

გამგეობის წევრი გ. ნ. ათაბეგოვი ამის პასუხად კრებას აცნობებს, რომ ქალაქის სასკოლო კომისიამ თავის დროზე უკვე შეიმუშავა პროექტი საყოველთაო სწავლების შემოღებისა. პროექტით საყოველთაო სწავლების პრინციპის განსახორციელებლად საჭირო იყო სულ 180 განყოფილების გახსნა. პროექტი ნაწილ-ნაწილად უნდა განხორციელებულიყო 1910 წლიდან დაწყებული ცხრა წლის განმავლობაში, ისე რომ 1919 წელს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი უნდა ყოფილიყო 400,000 მ., რომელიც საჭირო იქნებოდა იმ დროს. პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალეს სხვა და სხვა დაწესებულებამ პასუხის გვიან მოცემით, ან პასუხის სრულიად მოუცემლობით.

საბჭო გამგეობას ავალებს, ამ საკითხის ჩქარა განსახორციელებლად ღონისძიებანი მიიღოს და ახლავე აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

ამის შემდეგ საბჭო ადგენს, გადასდოს 1.000 მან. ქარიშხლისა და წყალდიდობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და 100 მან. შევჩენკოს ძეგლისთვის. წინააღმდეგია მხოლოდ ხმ. ტერტეროვი, რომელიც ამბობს, ქალაქს მოიჯარადრეების მისაცემად არა აქვს ფული და რა დროს ფულის გაღებაა სხვა საქმეებზე.

**მიეცეს თუ არა ტრამვაის უფასო ბილეთები ქალაქის საბჭოს ყველა ხმოსანს,**—საკითხი ხანგრძლივ კამათს იწვევს. წინად უფასო ბილეთები (დირექცია გზავნიდა) სატრამვაიო კომისიის წევრებს ეძლეოდა. ამ წლის 23 იანვრის კრებაზე, როდესაც ლაპარაკი იყო სატრამვაიო კომისიის წევრთა რიცხვის განსაზღვრის შესახებ, ხმ. ი. მ. დოლუხანოვმა განაცხადა, რომ ხმოსნები სატრამვაიო კომისიის წევრობას ძალიან ეტანებიან და ეს ხდება იმიტომ, რომ მათ უფასო ბილეთები უნდათო. ბ-ნ დოლუხანოვის წინადადებით საბჭომ დაადგინა, აღარ მისცეს სატრამვაიო კომისიის წევრებს. ამ დადგენილების გადასინჯვა საჭიროდ უცვნია 22 ხმოსანს, რომელთაც გამგეობისათვის წერილობითი განცხადება წარუდგენიათ. განცხადებაზე ხელს აწერენ შემდეგი ხმოსნები მ. ვესელოვზოროვი, თავ. ვაჩნაძე, სოსინი, ვ. მამულოვი, ზ. მამულოვი, ქსავერიევი, ხარაზიანი, კეილი, მიხეევი, ვასილიევი, ჯანაგოვი, ნუნუფაროვი, ქობულაშვილი, ქრელაშვილი, ქრელაშვილი, გალსტიანი, უტიშევი, გოთუა, თოიძე, ზორიანი, ქახანოვი და მარტიროსიანცი. ეს ხმოსნები განცხადებაში თხოულობენ: 1) მიეცეს სატრამვაიო კომისიას უფასო ბილეთები ძველებურად, 2) დაევალოს გამგეობას, ბილეთები შეიძინოს ყველა იმ ხმოსნებისთვის, რომელიც ამის სურვილს განაცხადებს და 3) საჭირო ფული ქალაქის კასიდან დაიხარჯოს.

გამგეობას ეს განცხადება განუხილავს და წინააღმდეგი გამხდარა იმისა, რომ ბილეთები ყველა ხმოსანს მიეცეს, რადგანაც საქალაქო დებულების მე-58 მუხლის ძალით ხმოსნები თავის მოვალეობას უსასყიდლოდ უნდა ასრულებდნენ; ამასთანავე გამგეობას საჭიროდ უცვნია, ქალაქის ხარჯით ბილეთები მიეცეთ იმ კომისიის წევრებს, რომელთაც თვის მოვალეობის ხასიათის გამო ხშირად უხდებათ აქეთ-იქით წასვლა-წამოსვლა. გამგეობის აზრით ასეთი კომისიები არის: სარევიზიო, სამეურნეო, დამფასებელი, სატრამვაიო და სხვა.

საბჭო დიდის ხმის უმეტესობით ადგენს, უარი სთქვას უფასო ბილეთებზე, რომელსაც ტრამვაის დირექცია სატრამვაიო კომისიის წევრთათვის იძლევა და ქალაქის ხარჯით შეიძინოს წლიური ბილეთები იმ კომისიების წევრთათვის, რომლისთვისაც ეს საჭირო არის.

ქალაქის მოურავად ნამყოფ **ა. ს. მატინოვის ძეგლის დადგმის საკითხის** გადაწყვეტა სხვა დროისთვის გადაიდო, რადგანაც არ არის გამორკვეული მეორე საკითხი, რომელსაც ამასთან კავშირი აქვს.

**აურზაურიანი დასასრული კრებისა.**

**თავმჯდომარე.** ახლა განსახილველია საჩივარი დავით გიორგის ძის ხართიშვილისა, რომელიც საქალაქო სამსახურიდან ორის თვის წინ ად დავითხოვეთ. ხართიშვილი თქვენთან ჩივის ქალაქის გამგეობის ორს წარმომადგენელზე.

**დ. ხართიშვილი** (პრესის წარმომადგენელთა სტოლთან ზის) არა, მე მთელს გამგეობას ვსდებ ბრალსა.

**თავმჯდომარე** (ზარს რეკავს). მე თქვენ წაგიკითხავთ საჩივარს და შემდეგ ხმოსნებმა იურისტებმა სთქვან, საჭიროა თუ არა, რომ მე თავმჯდომარეობა დავუთმო საგანგებო შემთხვევებისთვის არჩეულ თავმჯდომარე მ. ვ. ლუნკევიჩს.

**ხმები:** გთხოვთ წაიკითხოთ.

**თავმჯდომარე** კითხულობს საჩივარს, რომლის შინაარსიც მოკლედ ასეთია.

„შვიდი წელიწადი შევსწირე სამსახურს ქალაქის თვით-მმართველობაში და შემიძლიან სიამაყით ვსთქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ მიღალატნია სვინდისისა და საზოგადო და საქალაქო ინტერესებისათვის. ქალაქის თვითმმართველობაში არსებობს ორგანიზაცია, რომლის მიზანიც ქალაქის კასის გაქურდვაა. ქურდების მფარველობას უწევს გამგეობა და ასაჩუქრებს კიდეც. არ ვიცი ამ მიზეზით, თუ რის გამო მე დევნა დამიწყეს ჩემმა თანამოსამსახურეებმა და პირდაპირმა უფროსებმა. ჩემი დევნა თანდათან ძლიერდებოდა და ფართო ორგანიზაციულ ხასიათს იღებდა. ამ მდევნელ ორგანიზაციის სათავეში საუფროსოდ ლაღებს ისეთი პირნი, რომელთაც თითქოს უნდა დავეფარეთ ამ დევნისაგან. ესენი არიან: ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და გამგეობის წევრი მ. ხ. ათაბეგოვი. ჩემი დევნა ნაკლებულ პირთა მეთაურობით უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც ბოროტ-მოქმედებაში წყალსადენის წვრილ მოსამსახურეთა გარდა კონტროლიორებიც დავიჭირე. დღეს უკვე გავხდი მსხვერპლი ამ დევნისა, სამსახურიდან დამითხოვეს. მე არ შემეძლო გულ-გრილად მეცქირნა იმისთვის, თუ როგორ სძარცვავდნენ ქალაქის კასას. საქალაქო სამსახურში სრულიად ჯანსაღი შევედი და ახლა მივდივარ ჯან-მერყეული და არც ვიცი, მომავალში რა ელის ჩემს მრავალ რიცხოვანს ოჯახს. ბ-ნნო ხმოსნებო, აი ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი: შეისმინეთ ჩემის გულის კვნესა და მომეცით შეძლება, შეუვვყველის საბუთებით დავამტკიცო, რომ დამითხოვეს ქალაქის ინტერესების ღალატისთვის-კი არა, არამედ იმის გამო, რომ მუდამ ერთგულ დარაჯად ვუდექი ამ ინტერესებს და წრფელად ვემსახურებოდი ხალხის საქმეს!“

**თავმჯდომარე** ამას დასძენს შემდეგს: ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს საჩივარი და დაადგინა: სამართალში მისცეს ხართიშვილი ცილისწამებისა და შეურაცყოფისათვის. იურისკონსულტმა საქმე უკვე გადასცა ოლქის სასამართლოს პროკურორს.

საბჭოს სურვილის თანახმად ამის შემდეგ თავმჯდომარეობს **მ. ვ. ლუნკევიჩი.**

გამგეობის წევრი **მ. ხ. ათაბეგოვი.** საქმის ვითარება შემდეგია: ხართიშვილს ვალი დასდებია ძველის სახლის პატრონისა, რომელმაც სასამართლოს სააღმასრულებლო ფურცელი მოიტანა გამგეობაში. მე ბუჰგალტერს წინადადება მივეცი, რომ ხართიშვილისთვის ჯამაგირიდან ერთი ნაწილი დაეჭირა, რაც შესრულებული იქმნა. ხართიშვილი ბუჰგალტერს ჩასჩხუბებოდა, გამგეობის წევრის განკარგულება არ უნდა შეგესრულებინა, რადგანაც მას ამის ნება არა ჰქონდაო. ხართიშვილს ისიც ეთქვა, რომ მე ხართიშვილი ვარ და სააღმასრულებლო ფურცელში კი ხათიშვილი არის აღნიშნულიო. საქმე ჩემამდე მოვიდა. ხართიშვილმა საკმარისად მკვახედ მითხრა, ნება არა გქონდათ განკარგულება მოგეხდინათ იმისა, რომ ჩემთვის ჯამაგირი დაეჭირათ, რადგანაც ხართიშვილი ვარ და არა ხათიშვილიო. მე მაშინ ვკითხე, თქვენ იდექით თუ არა იმ სახლში, რომლის პატრონიც გიჩივით და დაგედოთ მისი ვალი თუ არა-მეთქი. ხართიშვილმა მკვახეთ მითხრა, ეგ თქვენი საქმე არ არისო და ერთი აურზაური ამიტეხა და სულ დააფრთხო ის ხალხი, რომელიც ჩემთან საქმეზე იყო მოსული და გარედ მიცდიდა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, გამგეობას ვსთხოვე ხართიშვილი სამსახურიდან დაეთხოვა, რადგანაც მისი დატოვება სამსახურში ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნდა. მას წინადადება მივეცით, სამსახურიდან გასულიყო და რადგანაც არ დასთანხმდა, დავითხოვეთ. საერთოდ ეგ ცუდი მოსამსახურე იყო. მე წინადაც გავკვირდი, რომ ეგ სამხედრო განყოფილებაში იჯდა. ეს ადგილი სრულიად შეუფერებელი იყო მისთვის, რადგანაც წერა-კითხვის უცოდინარია და საშინელი ხელიც აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საჩივარი მაგისი დაწერილი არ არის.

**ხმ. გოთუა.** არ შეიძლება გვითხრათ, რომელ ქურდობაზე ლაპარაკობს ხართიშვილი თვის საჩივარში?

**ხმ. შ. ალექსი-მესხიშვილი.** სამსახურიდან დათხოვნამდე როდისმე უთქვამს რამე ხართიშვილს ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.

**თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.** არასოდეს არაფერი არ განუცხადებია.

**დ. ხართიშვილი.** ტყუილია. მე ეს წერილობითაც გამოგიცხადეთ. აი საბუთი.

იღებს ხელში ქაღალდს და თავმჯდომარესთან მიაქვს. თავმჯდომარე ქაღალდს არ იღებს.

გამგეობის ახალი წევრი [illegible] ბარო ხართიშვილს დაცინვით ეუბნება: აქ ნუ იდიხართ. თქვენ პრესის წარმომადგენელი ბრძანდებით. წადით პრესის წარმომადგენლებთან.

**ხმ. მიტკევიჩი** პროტესტს აცხადებს, რომ საქმის გარჩევა ასეთ აურზაურში ხდება.

**თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** ახასიათებს ხართიშვილს როგორც მოუსვენარს, მედიდურს და უვარგის მოსამსახურეს და დასძენს: ხართიშვილი თითქმის ყველა განყოფილებაში მსახურობდა და ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ მაგისა და იმიტომ, მე მგონი აღარ შეგვიძლიან და თუ ღმერთი გრწამთ მოგვცა მორჩეთო.

**ხმ. რ. ისახანიანი.** საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს, რადგანაც მოსამსახურის დათხოვნა გამგეობის საქმეა და ამასთანავე ხართიშვილმა აქ ისეთი ატმოსფერა შექმნა, რომ საჩივრის განხილვაზე ლაპარაკი მეტია.

**ხმ. გოთუა.** მოსამსახურის დათხოვნა გამგეობის საქმეა. ამას ჩვენ ვერ შევეხებით, მაგრამ საჩივარში ხართიშვილი ლაპარაკობს ქურდობასა და ბოროტმოქმედებაზე. ამიტომ დავავალოთ სარევიზიო კომისიას, რათა გამოარკვიოს, რომელ ბოროტ-მოქმედებებზეა ლაპარაკი. ამას გარდა მე ვთხოულობ, რომ გამგეობამ ხართიშვილი შეურაცყოფისათვის კი არა, არამედ ცილისწამებისათვის მისცეს სამართალში, რათა მას არ მოესპოს საშუალება მოწმეთა შემწეობითა და წერილობითი საბუთებით თვისის სიმართლის დამტკიცებისა.

**ხმ. ალექსი-მესხიშვილი.** მეც ვთხოულობ, რომ ხართიშვილი სწორედ ცილისწამებისათვის იქნეს მიცემული სამართალში და არ გამეორდეს წინანდელი მაგალითები: ქალაქის ერთმა მოსამსახურემ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი ი. რადიკე სამართალში მისცა და სიმართლის დამტკიცების საშუალება კი მოუსპო. ამასთანავე დაევალოს სარევიზიო კომისიას, მიიღოს ხართიშვილის განცხადება, თუ იგი ამ განცხადებაში რაიმე კონკრეტიულ ბოროტმოქმედებაზე უთითებს.

კამათი გრძელდება. შიგა და შიგ დ. ხართიშვილი რეპლიკებს იძლევა. აურზაური იზრდება.

**თავმჯდომარე** (ხართიშვილს). თქვენ ლაპარაკის ნება არა გაქვთ. თუ არ გაჩუმდებით, იძულებული ვიქნები, დარბაზიდან გასვლა გთხოვოთ.

**დ. ხართიშვილი** (ზეზე დგება). მე თვითონ მივდივარ აქედან, მაგრამ ამას კი ხმა-მაღლა ვამბობ, რომ ქალაქის გამგეობა ხელს აფარებს ქურდებს.

**ხმები:** დაიკარგე აქედან... არანორმალური კაცი ყოფილა.

**დ. ხართიშვილი** (მიდის). თქვენს აზრით ყველა არა ნორმალური კაცია, ვინც არა ქურდობს. ქურდები... მძარცველები...

საერთო აურზაურში ხართიშვილი დარბაზიდან გადის და ქანდარაზე იჭერს ადგილს, საიდანაც რეპლიკას აძლევს ორატორს ი. მ. დოლუხანოვს.

ხმოსნები კითხულობენ, რათ იჯდა ხართიშვილი პრესის წარმომადგენელთა სტოლთან.

გამგეობა უპასუხებს, რომ ხართიშვილს მოწმობა ჰქონდა „ნოვოე დელო“-ს რედაქციისაგან.

ამის შემდეგ **თავმჯდომარე** კრებას სწყვეტს, რადგანაც შეუძლებელია კრების გაგრძელება, ვიდრე ხართიშვილი აქ არის.

შემოდის ორი პოლიციელი და ქანდარიდან ჩამოჰყავთ ხართიშვილი და შემდეგ სულ გაჰყავთ გარედ.

**ხმ. ი. დოლუხანოვი** თხოულობს, რომ საჩივარი განუხილველად იქმნას დატოვებული.

**ხმ. ალექსი-მესხიშვილის** აზრით არ შეიძლება საჩივრის განუხილველად დატოვება. იყო შემთხვევები, როდესაც საბჭო სხვებს კრებაზე ალაპარაკებდნენ ხოლმე. დასასრულ ხმოსანი მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ხართიშვილი პოლიციის შემწეობით გაიყვანეს გარედ.

საბჭო საჩივარს განუხილველად სტოვებს.

---

პროფესიონალური გასაკვირი ისეგი არაა, რომ ავტორმა სთქვას: ქართველებსა და სომხებში ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მიდრეკილება მეფობსო, ქართველები ძველის წესებით სცხოვრობენ და სომხები ახლებითაო. მერე ვერ გავიგია, რის დამტკიცება ჰსურს ავტორს, როცა ამბობს სომხის ბურჟუაზიას და სამღვდელოების შეერთებას. თუ ბურჟუაზია ახალი ტეხნიკის და წესების მატარებელია, აგეთია სამღვდელოებაც, ახალს კულტურას ჰქსხის უკანასკნელიც?

ავტორი პასსიურ ელემენტად სთვლის გლეხობას და უკარგავს ყოველგვარს მნიშვნელობას. ვინც ოდნავად იცნობს ქართველ გლეხობას, მის მისწრაფებას კულტურისადმი, კოოპერატიულ მოძრაობას, სკოლების და სამკითხველოების გამრავლებას, გაზეთის და წიგნის შესვლას სოფლად, სათეატრო გასართობებს მოწყობას, ის ვერ იტყვის, რომ ჩვენი გლეხობა აქტიურს მონაწილეობას არ იღებდეს საერო ცხოვრებაში, ის ვერ იტყვის, რომ დღეს ჩვენში პირველი სიტყვა და გადამჭრელი გავლენა საზოგადო—საერო საქმეებში ეკუთვნის თ.-აზნაურობის წოდებას.

მაგრამ გავყვეთ ავტორს და გავიცნოთ მისი სხვა ობიექტიური განმარტება სომეხ-ქართველთა უთანხმოებისა. სომხის კაპიტალისტი დაეტაკა ქართველს ფეოდალს, პირველი ახალი კულტურის წარმომადგენელნია, მეორე ძველის, პირველი ძლიერია, მეორე უძლური—მათ შეტაკებას საერო საზოგადო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდგან ერთი ერთი ერის ცხოვრებას აძლევს ტონს, მეორე მეორისას. მაგრამ გარდა ამისა, განაგრძობს იშხანიანი: სომხის ბურჟუაზია ქალაქშიაც დაეტაკა ქართველობას მსხვილი წარმოების და წვრილი წარმოების ნიადაგზე. „ქალაქშიაც არა სანუგეშო მდგომარეობას წარმოადგენენ ქართველები. მათ არა ჰყავთ მსხვილი მწარმოებლები არც სავაჭრო-სამრეწველო არც საბანკო წარმოებაში. არა ჰყავთ მესამე წოდება. და დღევანდელი სინამდვილე არ გვაძლევს არავითარს ნიშანს, რომ ქართველებში ოდესმე გაჩნდება ახალი ბურჟუაზია. წვრილ ვაჭრობისა და ხელოსნებისაგან და გლეხებისგანაც შეიძლება შემდეგში გამოვიდეს თითო-ოროლა ადამიანი. მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს! ერთი და ორი პირი კლასს ვერ შეჰქმნის. ქართველი ერის სინამდვილემ დაიგვიანა და ის საკუთარის ძალღონით ვერას გახდება აღორძინებულ ეკონომიურ ცხოვრებაში“. ასე უნუგეშოდ უცქერის ავტორი ქართველ ვაჭარ-მრეწველთა მდგომარეობას და ერთად ერთს ხსნას, ერთად ერთს საშუალებას საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად, კაპიტალისტურის წარმოების დასამყარებლად და ქვეყნის ეკონომიურ-კულტურის აყვავებისათვის ხედავს იმაში, რომ თავისუფალი კარი უნდა გაეღოს უცხოელ კაპიტალისტებს, განსაკუთრებით კი სომხებს, რომელთაც კავკასიაში ყველაზე მეტი უნარი აქვთ წარმოება-მრეწველობისა. უცხოელთა კაპიტალი უნდა შეებრძოლოს ქართველთა და თათართა მემამულე თ.-აზნაურობას და წვრილ მოვაჭრეებს და შეჰქმნას საფუძველი ახალი ცხოვრებისათვის.

ამნაირად ქართველმა თავად-აზნაურობამ მამულები უნდა დაუთმოს სომხის კაპიტალისტებს, რადგან თვითონ არ შეუძლიან მოვლა და პატრონობა და ქართველი ვაჭარი და მრეწველი უნდა გაპროლეტარდეს და თავისი წარმოება გადასცეს სომხის მსხვილ ბურჟუაზიას. იშხანიანის აზრით, ეს აუცილებელი კანონია ტეხნიკისა და კულტურის და ვინც ამას ებრძვის, ის ბუნებას ეწინააღმდეგება, ის რეაქციონერია, თავის ქვეყნის განვითარების მტერია.

მაგრამ გავუსინჯოთ კარგად კბილი იშხანიანის ბუნებრივ კანონებს: შეიძლება ეს კანონები მის ოცნებაში უფრო არსებობდეს! ჩვენს ავტორს საქართველო მარტო ტფილისი ჰგონია, თორემ როგორ იტყოდა, რომ ქართველებს ვაჭრობა-მრეწველობის უნარი არა აქვთო. ქართველების ორ მესამედზე მეტი დასავლეთ საქართველოში სცხოვრობს და იქ სოფლად და ქალაქად ვაჭრობა და წარმოება მეტ წილად ან მთლად მხოლოდ ქართველების ხელშია. დღეს ქართველი ვაჭრები ფეხს იკიდებენ ტფილისშიაც, სადაც წინად მათი სახსენებელიც არ იყო; ქართველები, ქონებრივად მოღონიერდნენ ბაქოშიაც. მართალია, ქართველ მწარმოებელთა უმეტესობა წვრილი მრეწველ-ვაჭარია, მაგრამ მსხვილიდან არავის დაუწყია ერთბაშად წარმოება. არსად არაა ამიერ კავკასიაში იმდენი საურთიერთო ნდობის ბანკი, რამდენიც საქართველოში. ეხლა ქართველი ვაჭრები უკვე ერთს დიდს კომერციულ ბანკსაც აარსებენ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ქართველობას სომხობასავით ისტორიული ვაჭრული ტრადიციები არ მოსდევს და იგი მარტო უკანასკნელ დროს გამოვიდა ამ ახალ სარბიელზე, ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ქართველი კაპიტალისტების მომავალი არც ისე უნუგეშოა, როგორც იშხანიანს ჰგონია.

მეორე დიდი შეცდომა ავტორისა ისაა, რომელიც ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ სრულებით არ ჰხედავს გლეხობას, მაშინ როდესაც გლეხობა ჩვენში დიდი რეალური სინამდვილეა. ბ. იშხანიანმა გლეხობას გვერდი აუქცია და თ.-აზნაურობის მამული ბურჟუა-კაპიტალისტებს გადასცა. რასაკვირველია, თ.-აზნაურობა იღუპება, მამული ხელიდან ეცლება, მაგრამ არავითარი კანონი არ მოითხოვს, რომ მისი მემკვიდრე არ იქნეს გლეხი. იშხანიანის იდეალი ეგებ, მსხვილი სასოფლო სამეურნეო წარმოება იყოს, მაგრამ ეს დასავლეთ ევროპაშიც არ მომხდარა და მით უფრო ვერ მოხდება ჩვენში. საქართველოს სოფლის მომავალი ჩვენ გვიხატავს კოოპერატიულს სასოფლო მეურნეობას და არა რამდენიმე მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას. უკანასკნელის მიდრეკილებას ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ, და ტყვილად მიუთითებს ავტორი სომხის ბურჟუებს სოფელზე, როდესაც მათ აქამდის ქალაქშიაც ვერ შეუქმნიათ კაპიტალისტური მრეწველობა..

წერილი ისეც დიდი გამოვიდა და აღარ გავაგრძელებთ. ბ. იშხანიანის სოფლმხედველობა და საფუძვლიანობა მისი აზრებისა მკითხველისათვის საკმაოდ ნათელია და აღარ გავარჩევთ მისი წიგნაკის დანარჩენ ნაწილს. როცა გავიცანით მოკლე შინაარსი ბ. იშხანიანის მოხსენებისა, ვუწოდოთ ავტორს სოლოლაკების იდეოლოგი. ეხლა სრულის უფლებით და დაბეჯითებით შეგვიძლიან განვიმეოროთ იგივე და ვურჩიოთ ავტორს: თქვენ მიერ დახატული სურათი შეიძლება მართალი ყოფილიყო 25—30 წლის წინად, ეხლანდელი საქართველო კი სულ სხვაა, რომლის შესახებ თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ და ნოტაციებს კი უკითხავთ ქართულს პრესას და ინტელიგენციას.

ქ.

## ფრენის საქმე

დიდი ხანი არ არის, რაც ადამიანმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო სტიქიონთან და ახლა თითქმის თავისუფლად დანავარდობს ეთერის სამეუფოში...

ვინც ცოტად თუ ბევრად დაინტერესებულია ავიაციის საქმით, ის ნათლად ხედავს მისი თანდათანობითი განვითარებას და წინსვლას და აშკარად რწმუნდება მის დიად მომავალში...

ავიაციის ჩქარი ნაბიჯით წინსვლა და შესანიშნავი პერსპექტივები იწვევს გამომგონებელთა და მფრინავთა საოცარ გატაცებას და კაცობრიობას ემატება აპარატები ერთი-მეორეზე უკეთესი და გაუმჯობესებული, მსუბუქი და მძლავრი...

უშიშარი მფრინავნი კი თითქმის განუწყვეტლივ გუშინდელ სისწრაფის, ხანგრძლივობის, სიმაღლის, მანძილისა და სიმძიმის რეკორდებს აბათილებენ და ახალს ამყარებენ...

რასაც გუშინ განცვიფრებაში მოვყავდით, დღეს არაფრად გვეჩვენება,

რაც გუშინ ოცნებად მიგვაჩნდა დღეს უკვე სინამდვილედ გადაიქცა.

მფრინავმა ვედრინმა მზის ამოსვლიდან მის ჩასვლიმდის 800 კილომეტრზე*) მეტი მანძილი გაიარა. შესანიშნავი ლეგანიე თითქმის გიმალაის მწვერვალების სიმაღლეზე აფრინდა და ამნაირად თვალუწვდენელი მონბლანის მთა ჰაეროპლანის ფრთების ქვეშ მოაქცია.

ფრანგი მფრინავი გაროო რომიდან ტუნისში (აფრიკა) გადაფრინდა და გადალახა ხმელთა შუა ზღვა. გერმანელმა მფრინავმა ინგოლდიმ ჰაერში 16 ნახევარ საათს დაჰყო და 1700 კილომეტრი გაიარა. პეგუმ ქვეყნიერება განაცვიფრა თავდაყირა ფრენით; პორუჩიკმა ნესტეროვმა ფრენით შემოავლო სრული რკალი თავდაყირა მდგომობაში, ეგრედ წოდებული (Мертвая петля), საუცხოვოდ იფრინა ორი კვირის წინ სიკორსკიმ თავის უზარმაზარ დრედნოუტზე, „ილია მურომეცზე“, 100 ფუთის ტვირთით... ლამანშზე გადაფრენა ახლა უბრალო საქმედ ითვლება მაშინ, როდესაც ცოტა ხნის წინ ამ გაბედულმა საქციელმა ლუი ბლერიო საფრანგეთის ეროვნულ გმირად აქცია.

რათ უნდა გვიკვირდეს, თუ ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული ჰაეროპლანით ქვეყნიერების ირგვლივ შემოფრენის შესახებ?!

როგორც ყოველთვის, ასეთ გაბედულ და ძნელ პროექტის ინციატივა ამერიკელებმა იკისრეს; სახელდობრ, ჩრდილოეთ-ამერიკის ჰაერო-კლუბმა. ამ მსოფლიო შეჯიბრების უმთავრესი პირობა არის საფრენისა და მფრინავის გამოუცვლელობა...

ამერიკულმა ჰაეროკლუბმა გადასწყვიტა ეს შეჯიბრება შეუფარდოს ს.-ფრანცისკოს მსოფლიოს გამოფენას, რომელიც 1915 წელს—მაისში დაიწყება. ამ საქმისათვის ჰაეროკლუბს ხუთი მილიონი ფრანკის შეგროვება განუზრახავს. პირველი ჯილდო დანიშნულია—500,000 ფრანკი, მეორე–250,000; დანარჩენი კი განაწილებულ იქმნება სხვა შეჯიბრებულთა შორის, რომელნიც 45,000 კილომეტრს გაივლიან. გარდა ამისა ლორდ ხორჩლიფის ჯილდო (250,000 ფრანკი) მიეცემა იმას, ვინც პირველად გადაჰსერავს ატლანტიის ოკეანეს და ედინბურგში (ინგლისი) მიფრინდება.

გადაფრენის გზა ასეთია:

ს.-ფრანცისკო, ჩიკაგო, ნიუ-იორკი, ლაბრადორი, გრენლანდია, ისლანდია, გებრიდის კუნძულები, ედინბურგი, ლონდონი, პარიზი, ბერლინი, პეტერბურგი, მოსკოვი, ტობოლსკი, ტომსკი, ირკუტსკი, ვლადივოსტოკი, კორეა, იაპონია, კამჩატკა, ალიასკა, ვანკუვერი და ს.-ფრანცისკო.

ჰაერო-კლუბის მიერ შემუშავებულ პირობებით გადაფრენა უნდა მოხდეს დაახლოვებით 90 დღის განმავლობაში და ამ ნაირად „ფრთოსან“ მგზავრებს მოუწევთ დღეში ორთა შუა რიცხვით 500 კილომეტრის გავლა.

ეს ფრენა მეტად ძნელ პირობებში მოხდება, მით უმეტეს, რომ მფრინავებთ უდაბურ და ნაკლებად გამოკვლეულ ადგილებში მოუხდებათ ფრენა. ამერიკიდან ევროპამდის ატლანტიურ ოკეანეში ისინი შეხვდებიან ნისლს და ჩრდილოეთის ქარ-ქუხილს; ტემპერატურა ბევრ ადგილას ძალიან დაბალი იქნება: გრენლანდიის დასავლეთის ნაპირების სამხრეთის ნაწილში, სადაც ჰაერი შედარებით უფრო მსუბუქი და ზომიერია, საშუალო ტემპერატურა წლის განმავლობაში მინუს 9 გრადუსზე (9 გრადუსი ყინვა) ნაკლებია...

თუ ამას დაუმატებთ, რომ მაღლა ჰაერი თანდათან უფრო თხელია, სუნთქვა გაძნელებული, ტემპერატურა ძლიერ დაცემული, აპარატის მიერ სითანაბრის დაცვა ბევრად შემცირებული, მოტორის მუშაობის პირობები უვარგისი და აგრეთვე იმას, რომ ადამიანის ორგანიზმი ვერ ეგუება უეცრად ჰაერის გათხელებას და ატმოსფერის სიმჩატეს,—მაშინ ნათლად წარმოგვიდგება, თუ რა ძნელია განზრახული ფრენა. მაგრამ, თუ გავიხსენებთ ამასთანავე ავიაციის წარმოუდგენელ სისწრაფით განვითარებას, ამ პროექტს ყოველ შემთხვევაში უტოპიურად არ ჩავთვლით, რადგან ადამიანმა ფრენა უკვე დაიწყო, დიდი მანძილი და ცუდი პირობები მას ველარ შეაფერხებს.

ვ. კაკაბაძე.

*) კილომეტრი ვერსტზე ცოტათი ნაკლებია. ვ. კ.

## ჭლექი თელავში

მიუხედავად კახეთის ნაზი ბუნების და ზომიერი ჰავისა, ფილტვების ავადმყოფთა რიცხვი დიდია თელავში და რაც დრო გადის უფრო ვრცელდება ეს კაცობრიობის უსაშინელესი სენი. ექიმების გადმოცემით ყველა ავადმყოფობას ჭლექი სჭარბობს და ამ გარემოებისთვის კი არავის ყურადღება არ მიუქცევია.

საკმარისია ოჯახში ერთი ვინმე გახდეს ავად, რომ მთელი ოჯახის წევრებზე გავრცელდეს. ეს, თავის თავად ცხადია, ასე იქნება: ავადმყოფი სხვებთან ერთად ერთ ოთახში უწევთ, ერთად სძინავთ (ხშირად ერთ ლოგინში) ერთად სადილობენ, სარეცხს ერთად რეცხვენ, სიკვდილს შემდეგ მის ტანისამოსს აქეთ-იქით არიგებენ და სხვა. რაც შეეხება ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, ესენი ხომ ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი, ამათთვის არც საექიმო დახმარება არსებობს და არც სხვა რაიმე მზრუნველობა.

ჩვენი ქალაქის თვითმმართველობა ამ მხრივ სრულს უყურადღებობას იჩენს, თითქოს მცხოვრებთათვის ეს დაწესებულება კი არა, მცხოვრებნი არსებობდნენ თვითმმართველობისათვის. ქალაქის მამების ჩიჩინი მეტია: სხვას რას აქცევენ წესიერ ყურადღებას, რომ ამაზე იზრუნონ და ჩვენც ტყუილად გვექნება იმათი იმედი.

ასეა თუ ისე ახლოვდება 20 აპრილი, როცა მთელი ქვეყნიერება იგონებს ამ საზარელ სენით შეპყრობილ ავადმყოფთ და თავის წვლილის შეტანით უმსუბუქებენ ტანჯვას და უგრძელებენ სიცოცხლეს.

ეს დღეც აქამომდე ჩვეულებრივ მიმდინარეობდა ჩვენში, მხოლოდ შარშან 20 აპრილს ქ-ნ პოზოევის მეთაურობით გამართეს თეთრი ყვავილის დღესასწაული და თელავის მოქალაქეთაც თავისი წვლილი გამოიღეს ამ საკეთილო საქმისათვის.

როგორ მოაწყეს და რანაირი ორგანიზაცია ჰქონდათ არ ვიცი, შარშან ტფილისში მოვყევი ამ დღეს და ლექციებს რომ ვისმენდი, მსმენელთა აუდიტორიას რომ უყურებდი, ჩვენი თელავი მაგონდებოდა, რომელთა მცხოვრებნი უმეტესად ჰსაჭიროებენ ასეთ ახსნა განმარტებას და საჭიროების დროს—შველა-დახმარებას. ამის მაგვარი მგონი არაფერი ყოფილიყო აქ იმის მეტი, რომ ამ დღეს ყულაბებით ფული მოეკრიფათ და ტფილისში გაეგზავნათ.

დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი პოზოევისა ამ სიმპატიურ საქმის დაწყებისათვის, თუ ამ მანდილოსანს არა ვინ იცის იქნებ არავის ეთავნა ამ დღის აღნიშვნა. როგორც გადმომცეს მომავალ 20 აპრილსაც უპირებიათ გვირილობის გამართვა.

ეს ძალიან კარგი საქმეა და ყველა მოვალეა დახმარება გაუწიოს, რომ უკეთესათ მოეწყოს იგი. ამ საქმეში ერთი და ორი კაცი არა კმარა და ვერც ვერაფერი გაკეთდება. საჭიროა ეხლავე შესდგეს კომიტეტი, რომელმაც მჭიდრო დამოკიდულება უნდა იქონიოს ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოებასთან. მასალა ე. ი. გვირილის ყვავილი, ღია ბარათები, ფურცლები, წიგნაკები და სხვა ამ საზოგადოებამ უნდა ეთხოვოს ან წინდაწინვე შეაკეთოს (შარშანდელ ადგილობრივი ყვავილები უვარგისი იყო). აუცილებლივ საჭიროა ამ დღეს რამდენიმე უფასო ლექციები მოეწყოს, რომლის შესრულებაც ადვილია, რადგანაც ამჟამად თელავში სამი ექიმია და სიამოვნებით წაიკითხავენ, მხოლოდ ეხლავე ნებართვა უნდა გამოითხოვონ ვისგანაც ჯერ არს, ქალაქი უნდა რაიონებად დაიყოს, მოკრებილი ფულის ნაწილი აქვე უნდა იქნეს დატოვებული ამ მიზნისთვის და სხვა და სხვა.

დავიწყებული.

## მცირედი ამბები

პატარძეული (გარე კახეთი). პატარძეულის წვრილი სესხის ამხანაგობას საზოგადო კრება ჰქონდა 18 იანვარს 1914 წელსა. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს წვრილი სესხის ინსპექტორი ბატონი დავით ჩხეიძე. გამგეობამ წაიკითხა 1913 წლის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ ამხანაგობას დარჩენია წმინდა მოგება 414 მანეთი და 6 კაპ. საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო და კანონიერად სცნო ანგარიში. საზოგადო კრებას აუწყა თავმჯდომარემ, რომ მთავრობამ ნება დართო პატარძეულის წვრილი სესხის ამხანაგობა შემნახველ გამსესხებელ-ამხანაგობად გადაკეთდეს. შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობა იმოქმედებს 1914 წლის პირველ იანვრიდან. საზოგადო კრება ერთხმად ემორჩილება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა 1905 წელში დამტკიცებული სანიმუშო წესდებასა; ამხანაგობა იმოქმედებს იმ ფარგალში, სადაც წვრილი სესხის ამხანაგობა მოქმედებდა. გამგეობა იქნება სოფ. პატარძეულში. პირადი ნდობით გაცემული სესხის ნორმა იგივე იქნება, როგორც წვრილი სესხის ამხანაგობაში იყო. წილის ფულად (პაი) ერთ თუმანს ამხანაგი იხდის ათი წლის განმავლობაში, წელიწადში ამხანაგმა უნდა შეიტანოს არა ნაკლებ ერთი მანეთისა. საზოგადო კრებამ იკისრა ვალები. ორასი თუმანი ძირითადი თანხა უნდა გადაიხადოს იმ წესით, რა წესითაც შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი იხდიან სახელმწიფო ბანკიდან ნასესხ ძირითად თანხას. საზოგადო კრებამ სასურველად სცნო წილის ფული იხადოს ამხანაგმა თავის საკუთარი საშუალებიდან. საზოგადო კრებამ ამოირჩია გამგეობაში თავმჯდომარედ—მასწავლებელი გიორგი დ—ძე ჯილაური და მადლობაც გადაუხადა საქმის კარგი წარმოებისათვის და ჯამაგირიც წელიწადში თორმეტი თუმანი დაუნიშნა (120 მ.). ორ დანარჩენს წევრს თითოს ხუთი თუმანი (50 მ.) წელიწადში. საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას შუამდგომლობა აღძრას ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორის წინაშე—მოკლევადიანი სესხი გაუდიდოს 2500 მანეთამდე (წინედ 10,000 მ. იყო). კრებაზედ გიორგი ჯილაურმა სთხოვა თავმჯდომარეს დ. ჩხეიძეს ორი კითხვა დაესვა კრებაზედ, პირველი—ერთი ამხანაგისთვის ეპატიებინათ 10 მ. ვალი, რომელიც მოკვდა და გადახდა უძნელდება მის ქვრივს. და მეორე დამშეულთა იმ ერთ სასარგებლოდ მოგებიდან გადედოთ რამე. პირველ კითხვაზედ ცივი უარი სთქვეს, რადგანაც ამხანაგები დაეჩვევიანო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ არავის ვაპატიებთო, მეორეზედ დიდი სიამოვნება განაცხადეს—ჩვენ ძმებს უნდა მივეშველოთო, და ერთხმად ორი თუმანი გადასდეს დამშეულთა სასარგებლოდ. ამას გარდა კრებამ გადასდო „სასოფლო გაზეთისა“ და „მოსავლის“ გამოსაწერად 8 მანეთი, ამხანაგთა რიცხვი მალე 600-ს გადაჭარბებს. სარგებლობს სამი სოფელი პატარძეული, ბერთუბანი და აღბულახი. საქმე რიგიანათ მიდის მოკლე ვადიანი სესხი სრულიათ მოშორებულია. რაც ამხანაგობა სწარმოობს 2½ წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში წმინდა მოგება 600 მანეთს აღემატება, და ეს ფულიც წარმობაშია.

მევახშობას თანდათან ნიადაგი ეცლება. პირველად, რომ გაიხსნა ხალხი ეჭვის თვალითაც უყურებდა და ვერ ჰბედავდა ჩაწერას ამხანაგობაში, ხელს უშლიდნენ უფრო შეძლებულები, ამობდნენ მაგ ფულს შესჭამენო და სხვა. ისე გაძნელდა პირველში, რომ ძლივ ვიშოვნეთ 18 წევრი და ორი ქალიც, რომ არ ჩაწერილიყო ხელიდან გამოგვეცლებოდა ამხანაგობა. ჭეშმარიტად მშვენიერი დაწესებულებაა წვრილი კრედ. ამხანაგობა—40 წლის შემდეგ ამხანაგობას უკვე საკუთარი თანხა ექნება წარმოებაში. 20 მანეთი მალე გაეგზავნებათ „სახალხო გაზეთის“ რედაქციას გადასაცემათ დამშეულთა სასარგებლოთ. დასასრულს უნდა ვსთქვა, რომ მასწავლებელი გიორგი ჯილაური გულმოდგინედ, ეკიდება, როგორც ამხანაგობის საქმეს ისე თავისს პირდაპირ მოვალეობას.

მღ. იოანე გულისაშვილი.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

17 მარტი.

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** მალტას კუნძულზე საფრანგეთის ესკადრა მოვიდა დარბელის უფროსობით. ინგლისის ფლოტი და მცხოვრებნი სიხარულით შეხვდნენ.

**ლონდონი.** ასკვიტმა პალატაში განაცხადა, სილი, ფრენჩი და იუარტი სამსახურიდან გადადგნენო. ასკვიტმა თვითონ იკისრა სამხედრო მინისტრობა.

**თეირანი.** შინაგან საქმეთა მინისტრი სამსახურიდან გადადგა. კაბინეტი ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა.

**სტოკჰოლმი.** რიკსდაგში არჩევნების პირველი შედეგი: სტოკჰოლმის ერთს ოლქში სახელმწიფო თავდაცვის მომხრეებმა მიიღეს 6220 ხმა, სტააფის მომხრეებმა 3580, სოციალისტებმა 10831. ამავე ოლქში 1911 წელს ზომიერებმა მიიღეს 3291, ლიბერალებმა 3830, სოციალისტებმა 9340. სტააფის პარტიამ ერთი ადგილი დაჰკარგა, რომელიც სახელმწიფო თავდაცვის პარტიას მოემატა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო უარჰყოფს ბელგრადის გაზეთების ცნობას, ვითომც სოფიაში შეთქმულება აღმოაჩინოთ.

**პარიზი.** პალატაში გაირჩა ლეფევრის და ლიუპრეს შეკითხვა ჩინეთის ვალის შესახებ, რომლის განცხადებასაც ეხება დუმერგის წერილი. დუმერგი აღნიშნავს, ამ ვალს პოლიტიკური ხასიათი არა აქვსო.

**ინგლისის ამბები.**

**ლონდონი.** სილი პალატაში მივიდა და უკანა რიგში დაიჭირა ადგილი. ასკვიტმა განაცხადა, ფრენჩი და იუარტი გადადგნენო. საბუთები მათი გადადგომისა სრულიად გასაგებია. თუმცა მათი გადადგომა კი სამწუხაროაო. სილიმ მაცნობა, ვალდებული ვარ სამსახურიდან გადავდგეო. ბევრი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე სამხედრო მინისტრობა მეკისრნა. მეფეს მოსწონს ეს გადაწყვეტილება. ეხლა უნდა დავტოვო პალატა, რომ ხელმეორედ ამირჩიოთ. პალატა ტაშის ცემით შეხვდა ასკვიტის სიტყვას.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ბოგდანოვიჩი, რომელსაც ექიმი ბელიაევის მკვლელობა ჰბრალდებოდა, ნაფიცთა სასამართლომ გაამართლა.

**მუშათა ცხოვრება.**

**პეტერბურგი.** „ტრეუგოლნიკისა“ და ბოგდანოვის ქარხნებში მოწამლულ მუშებს თანაგრძნობა გამოუცხადეს და გაიფიცა პუტილოვის ქარხნის 5000 მუშა და წვრილი ქარხნების 3000 მუშა.

დღეს გაფიცულია 24673 მუშა. ქარხნებში კიდევ 60 ქალი მუშა მოიწამლა იმავე ნიშნებით, როგორც ამ უკანასკნელ დღეებში იყო.

**შავი ჭირი.**

**ურალსკი.** ინდერის სამამასახლისოს სოფელ კიზილჯარში 13 მარტამდე შავი ჭირით 15 კაცი გახდა ავად. ყველანი დაიხოცნენ.

**თავდასხმა.**

**ოლკუში.** 13 მარტს ქარხანაში სართავი სამრეწველო გაძარცვეს. გატაცებული ფულის გაყოფის დროს მძარცველები წაიჩხუბნენ. ჩხუბის დროს ერთი მოკვდა, ერთი დაიჭრა. დაჭრილი პოლიციამ შეიპყრო, რომელმაც ამხანაგები გასცა. მისი ამხანაგებიდგან სამი შეიპყრეს, ორს ეძებენ. ერთი მათგანის ბინაზედ 1500 მანეთი იპოვეს.

**საკანონმდებლო დაწესებულებაში.**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს სხდომების ანგარიშების ბეჭდვის დაუსჯელობის შესახებ მომხსენებლად ეფრემოვი აირჩიეს. მთავრობის მიერ კერძო განცხადებათა მონოპოლიზაციის შესახებ მომხსენებლად ოპოზიციის წინადადებით პურიშკევიჩი აირჩიეს.

საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა მინისტრთა საბჭოს კანცელარიისა, სავაჭრო ზღვაოსნობისა საგანგებო ხარჯებისა, ვაჭრობის სამინისტროსი, სამხედრო მინისტრის კანცელარიისა.

საფინანსო კომისიამ უარჰყო ასანთ მანქანებზე სააქციზო გადასახადის კანონ-პროექტი და არასასურველად იცნო საკანონმდებლო წინადადება 4 აპრილს 1912 წელს დაზარალებულ ლენის მუშათა დაჯილდოვებისა.

სავაჭრო კომისიამ, 14 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3, უარჰყო წინადადება, რომლითაც ფინლიანდიაში შეტანილ უცხო პურის საბაჟო გადასახადის კანონ-პროექტი ფინლიანდიის სეიმისთვის უნდა გადაეცათ გასარჩევად. კომისიამ ეს კანონ-პროექტი მთავრობის რედაქციით მიიღო.

## თეატრი და ხელოვნება

**ხარფუხის აუდიტორია. ს. გ. პეპანოვის ბენეფისი:** ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის მიერ ხუთშაბათს, 20 მარტს რეჟისორის ს. გ. პეპანოვის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ლ. ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ წრის საკუთარი ძალებით.

## შემოწირულება

ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად მივიღეთ **მასწავლებელი გიორგი ახვლედიანის** მიერ სოფ. ლილოში მოგროვებული **21 მანეთი.** სია შემომწირველთა: აღ. ივ. მარქაროვმა 3 მან., გ. კ. ახვლედიანმა 2 მან., ნ. ნ. კავთელაძემ 1 მან. 50 კ. მღ. დ. კახაბერმა, მასწ. ნინო ელიავამ, მასწ. ანნა უსტიაშვილის ასულმა, ელენე ბოჭორიშვილის ასულმა, ი. გ. თიგიშვილმა, მ. დ. ფუხაშვილმა, გ. ს. ტაბუცაძემ, ს. ი. ფანიშვილმა, ს. დ. გაფიშვილმა, ს. თ. ცხოვრებაშვილმა, ვ. ზ. ბიბილურმა, გ. მ. გეგიაძემ, ს. გ. ბაგაშვილმა—თითო მანეთი და გ. გ. არხოშვილმა, პ. მ. თინაშვილმა, ი. გ. ყარასაშვილმა—ათ-ათი შაური.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **ხამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონებით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 00 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევნისაკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ** ..., 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ. № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7. **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 31 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა სადამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე მე-3 კლასის ვაგონით.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. **ფონმინა-თხილოვსკაია** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქობლანიძოვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკის, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. ლ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ხაჩიაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, №, გლინკის ქუჩა 56 და მაილაკის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანოვი** (სიდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თამამშოვი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **ვ. ლ. კოკოლიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27). |
| 8—9 | **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23). |
| 10, 11—12 | **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985). |

## ვენერიულ-სიფილისური (ვენ. სამ.) ბიჭოდიანი

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

მიღება ყოველ დღე, უქმე დღეებშიაც.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბე-ართოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. მ-ბანსხოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**გ. ე. ბენ-ამინოვი:** 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. ბ. ბეცტახიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფი და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**მ. ბ. ბეცტახიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი.** 1071

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ



## მივიღე

**ზაფხულის სეზონის ყოველნაირი ფეხსაცმელი**

პეტერბურგისა და ვარშავის მექანიკური საუკეთესო ფირმების ნაწარმოები. **ფასები საქარხნო** აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები.

პატივისცემით **თომა ჯანყარაშვილი** მუხრანის ქ. № 2. 172.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

## ილია ჭავჭავაძის თხზულება.

## მიხეილ გედევანიშვილის

გამოცემა, ტფილისი, 1913 წელი, ფასი 10 მანეთი.

იყიდება აგრეთვე ყოველგვარი ქართული წიგნები: ღვთისმეტყველება, სიტყვა-კაზმული მწერლობა, სიტყვიერების ისტორია, თეორია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, სახელმძღვანელოები, საყმაწვილო წიგნები. ქართ. სასიმღ. და საგალ. ნოტები, ჩვენი მწერლების სურათები. 1072

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძმ. ბეგველოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

## განყოფილება

## ავლაბარში

**ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.**

## იყიდება

## იმავე ხარისხის

## საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.** 1081